



თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №28/3425-14

09 სექტემბერი, 2014 წელი
თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატამ
შემდეგი შემადგენლობით:
თავმჯდომარე ხათუნა არევამე
მოსამართლეები: ნატალია ნაზლაიძე
ვანო წიკლაური

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი განხილვის გარეშე

საჩივრის ავტორი – ე. მ.

მოწინააღმდეგე მხარეები – ნ. ს., თ. ჯ.

წარმომადგენელი – გ. თ.

გასაჩივრებული განჩინება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 30 აპრილის (30 მაისის) განჩინება

საჩივრის ავტორის მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების გაუქმება

სასამართლომ გამოარკვია:

2014 წლის 29 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სარჩელით წარადგინეს ნ. ს.-მ და თ. ჯ.-მ მოპასუხე ე. მ.-ს მიმართ; მოსარჩელეებმა მოითხოვეს ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის გაუქმება პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში და სესხის ძირითადი თანხის გადახდის ნაწილში სააღსრულებო წარმოების შეჩერება ვალდებულების ვადის დადგომამდე – 2014 წლის 04 ივლისამდე.

მოსარჩელეების განმარტებით, 2012 წლის 05 ივლისს, ნ. ს.-სა და ე. მ.-ს შორის გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზედაც მოსარჩელემ – ნ. ს.-მ, მოპასუხისაგან – ე. მ.-საგან ისესხა 15 000 აშშ დოლარი 3 თვის ვადით. სესხი უზრუნველყოფილია იპოთეკით; (კერძოდ, იპოთეკით დაიტვირთა მესაკუთრის – ნ. ს.-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება – 70,06 კვ.მ. ფართი, მდებარე, ქ. თბილისი, დაბა წყნეთი, ქუჩა გ. #XX, კორპუსი X, სართული X, ბინა #XX (ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართის პროპორციულ იდეალურ წილთან ერთად)); იმავე დღეს გაფორმდა ვალის აღიარების ხელშეკრულება, რომლის თანახმად, იპოთეკარ ე. მ.-სგან სესხად აღებული 15



000 აშშ დოლარი ნ. ს.-მ გადასცა თ. ჯ.-ს, რომელმაც 2012 წლის 30 ნოემბრამდე იკისრა ვალდებულება ვალის დაფარვისა და იპოთეკისგან უძრავი ნივთის გათავისუფლების შესახებ.

მოსარჩელების განმარტებით, 2012 წლის 05 ივლისის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების მოქმედების ვადა მხარეებმა გააგრძელეს ორჯერ – 2013 წლის 04 მარტამდე და 2014 წლის 04 ივლისამდე.

2014 წლის 07 აპრილს კერძო ადმინისტრაციისგან ნ. ს.-ს ჩაბარდა წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ, რომლის მიხედვითაც ნოტარიუს ს. მ.-ს მიერ გაცემული 4.04.2014 NXXXXXXXXX სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, მას გადასახდელად დაეკისრა: სესხის ძირითადი თანხა - 15 000 აშშ დოლარი, პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.15 პროცენტი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 2013 წლის 06 აპრილიდან ვალდებულების სრულად შესრულებამდე, ჯამში 23.212.50 აშშ დოლარი და სააღსრულებო ხარჯი - 124.36 ლარი.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ რადგან საბოლოო შეთანხმებით მხარეებმა სესხის დაბრუნების ვადად განსაზღვრეს 2014 წლის 04 ივლისი, ამასთან, სარგებელი გადახდილია, შესაბამისად, სააღსრულებო ფურცლით უსაფუძვლოდ არის მოთხოვნილი პირგასამტეხლოს გადახდა 2013 წლის 06 აპრილიდან; აქედან გამომდინარე, ნ. ს. უნდა გათავისუფლდეს პირგასამტეხლოს სახით დაკისრებული თანხის გადახდის ვალდებულებისაგან და ამ ნაწილში სააღსრულებო ფურცელი უნდა გაუქმდეს, ხოლო სააღსრულებო ფურცლის აღსრულება სესხის ძირითადი თანხის გადახდის ნაწილში, უნდა შეჩერდეს ვალდებულების ვადის დადგომამდე – 2014 წლის 04 ივლისამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 30 აპრილის განჩინებით დააკმაყოფილა მოსარჩელე ნ. ს.-ს მოთხოვნა; შეჩერდა ნოტარიუს ს. მ.-ს მიერ 2014 წლის 04 აპრილს გაცემული NXXXXXXXXX სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებული სააღსრულებო საქმის წარმოება; განჩინება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად და ამ მიზნით გაიცა სააღსრულებო ფურცელი;

აღნიშნული განჩინების მიღებისას სასამართლომ იხელმძღვანელა შემდეგი მოსაზრებებით:

წარმოდგენილი სარჩელით დავის საგანია ხელშეკრულების ბათილად ცნობა, რომლის საფუძველზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.



ამავე კოდექსის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისათვის.

სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის საპროცესო ინსტიტუტის მიზანი სარჩელის დაცვაა, რომელიც აღძრულია ამ კონკრეტული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და მოსარჩელის მიერ დასახული მიზნის მისაღწევად, თუმცა იქვე სასამართლო ხაზს უსვამს და განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მართალია წარმოადგენს სასამართლოს მიერ გამოყენებული დროებითი ღონისძიების ისეთ სახეს, რომლის მიზანი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება და მისი აღსრულების ხელშეწყობაა, ამ თვალსაზრისით იგი მოპასუხის უფლებისა თუ ინტერესის შევიწროებას გულისხმობს, თუმცა იგი არ უნდა იყოს გამოყენებული, როგორც მოპასუხის უფლებების უპირობოდ შემზღვეველი ღონისძიება. ამიტომ, სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველთა შეჯერების შედეგად უნდა იმსჯელოს, გამოიყენოს თუ არა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც შესაძლოა ერთი მხარის მდგომარეობის გაუმჯობესება, მეორისა კი – პირიქით. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფად გამოყენებული ზომა უნდა იყოს ადეკვატური დავის საგანზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისათვის.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში განმცხადებელს (მოსარჩელე მხარეს) სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობის შედეგის მიმართ გააჩნდა დაცვის ღირსი ინტერესი, კერძოდ, მოსარჩელის მოთხოვნაა ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობა პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში და ამ სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებული აღსრულების შეჩერება.

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სააღსრულებო ფურცლის გასაჩივრება არ აჩერებს აღსრულებას. მართალია, ზემოაღნიშნული ნორმის დანაწესი ითვალისწინებს სააღსრულებო ფურცლის გასაჩივრებას და ასეთ შემთხვევაში სარჩელის წარდგენა ავტომატურად არ აჩერებს აღსრულებას, მაგრამ სასამართლოს შეუძლია მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნათა ფარგლებში და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესის მიხედვით, შეაჩეროს ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის მოქმედება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, თუ ასეთი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემსახურება გადაწყვეტილების აღსრულებას; წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონის სხვაგვარი განმარტება საფრთხის ქვეშ დააყენებს მოსარჩელის უფლებებს; იგი, მიუხედავად მართლმსაჯულების განხორციელებისა, ვერ მიაღწევს გადაწყვეტილების აღსრულებასა და თავისი კანონიერი უფლებებისა და ინტერესებში აღდგენას, რაც თავის მხრივ, ხელყოფს საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლება შესახებ კონვენციით გარანტირებულ ფუნდამენტალურ უფლებას საქმის სამართლიან სასამართლოზე მოსმენაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქმეზე, აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ განმარტა, რომ კონვენციის მე-6 მუხლით, თავისი სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას, ყველას აქვს სასამართლოს მიერ საქმის სამართლიანი მოსმენის უფლება. კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლება, კონვენციის არც ერთ დებულებაში არ არის მოცემული, მაგრამ კონვენციის ორგანოების მიერ ინტერპრეტირებული იქნა, როგორც „სასამართლო პროცესის“ განუყოფელი ნაწილი მეექვსე მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის.

სასამართლო აღნიშნავს, იმისათვის, რათა საშუალება ეფექტური იყოს, მან უბრალოდ ირიბად კი არ უნდა დაიცვას კონვენციის მე-6 მუხლით უზრუნველყოფილი უფლებები, არამედ უნდა



უზრუნველყოს სასარჩელო პრეტენზიების პირდაპირი და სწრაფი დაკმაყოფილება კონკრეტული ზიანისათვის. მეექვსე მუხლის პირველი პუნქტი ნებისმიერ პირს აძლევს შესაძლებლობას სასამართლოს წარუდგინოს თავის სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებთან დაკავშირებული სარჩელი. სასამართლოსათვის სარჩელის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება. მხარეთა ეფექტიანი დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებას.

სასამართლო გაეცნო განმცხადებლის მოთხოვნას, შეამოწმა მისი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ განცხადებაში მოყვანილი ფაქტები ადასტურებენ იმ გარემოებებს, რომელთა გამოც მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობას, შესაძლოა გაეძნელებინა ან შეუძლებელი გაეხადა სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულება.

2014 წლის 23 მაისს მოპასუხე ე. მ.-მ საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 30 აპრილის განჩინების გაუქმება.

საჩივრის ავტორის განმარტებით, 2012 წლის 05 ივლისს ნ. ს.-სა და ე. მ.-ს შორის გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. გამსესხებელმა ვერ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. მიუხედავად ამისა, გამსესხებლის კეთილი ნებით ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდა ორჯერ – 2012 წლის 05 ოქტომბერს და 2014 წლის 06 თებერვალს. მსესხებლის დავალიანება გამსესხებლის მიმართ შეადგენს **15 000 აშშ დოლარს და პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0,15%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 2013 წლის 06 აპრილიდან 2014 წლის 04 აპრილის ჩათვლით, რაც ჯამში შეადგენს 23 167,50 აშშ დოლარს.**

საჩივრის ავტორის განმარტებით, 2012 წლის 05 ივლისის ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ თუ დადგებოდა მოთხოვნის დაკმაყოფილების ვადა და მსესხებელი ნებაყოფლობით არ შეასრულებდა იპოთეკარის მოთხოვნას, იპოთეკარი უფლებამოსილი იქნებოდა მოთხოვნის დაკმაყოფილება უზრუნველყო ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე; ამასთან, მხარეები შეთანხმებულები იყვნენ სესხის ძირითადი თანხის ყოველთვიურ პროცენტზე, ასევე ყოველი ვადაგადაცილების დღისთვის პირგასამტეხლოს ოდენობაზე. საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ მსესხებელს, 2013 წლის თებერვლიდან ამავე წლის დეკემბრის ჩათვლით, არ განუხორციელებია არცერთი გადახდა, მოგვიანებით გადახდა განხორციელდა 2014 წლის იანვარს და თებერვალში, რის შემდეგაც, როგორც ძირითადი თანხა, ასევე პირგასამტეხლო დარჩა გადაუხდელი; აღნიშნულ გარემოებებზე მითითებით, ე. მ. განმარტავს, რომ 2012 წლის 05 ივლისის ხელშეკრულების, კერძოდ, მისი მე-15 პუნქტის მიხედვით, გამსესხებელს სრული უფლება გააჩნდა მიემართა ნოტარიუსისათვის სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით, თუ მსესხებლის მიერ არ განხორციელდებოდა დარიცხული სარგებლის გადახდა და ეს ვადაგადაცილება გაგრძელდებოდა 14 კალენდარულ დღეზე მეტი დროის განმავლობაში, ან არ მოხდებოდა სესხის ძირითადი თანხის გადახდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში; საჩივრის ავტორის შეფასებით, იმის გათვალისწინებით, რომ მსესხებელი ერთ წელზე მეტი დროის განმავლობაში არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ფულად ვალდებულებას, სააღსრულებო ფურცლის გაცემა განხორციელდა მართლზომიერად; მისივე



განცხადებით, მოსარჩელის მითითება მასზე 8212,50 ლარის უკანონოდ დაკისრების თაობაზე, მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს.

საჩივრის ავტორი მტკიცებით, თ. ჯ. მოცემულ საქმეში წარმოადგენს არასათანადო მოსარჩელეს, ვინაიდან 2012 წლის 05 ივლისის და 2014 წლის 06 თებერვლის ხელშეკრულებების მხარეებს წარმოადგენდნენ ნ. ს. და ე. მ..

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ მსესხებლის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული და აღნიშნულით მოსარჩელე ცდილობს კიდევ უფრო გააჭიანუროს ვალის დაბრუნების ვადა, რითაც უფრო მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აყენებს მოპასუხეს. იპოთეკარის უფლების არსი – მიმართოს ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით არის სწორედ ის, რომ სასამართლოსადმი მიმართვისა და სასამართლო საქმისწარმოების გარეშე განახორციელოს მხარემ კანონით მინიჭებული უფლება და დაიკმაყოფილოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნა. ის ფაქტი, რომ მოსარჩელე სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას იყენებს მხოლოდ იმ მიზნით, რომ გააჭიანუროს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება და მიღებული სესხის დაბრუნება, ხელყოფს მოპასუხის უფლებებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. მოსარჩელის სამოქალაქო უფლება მოითხოვოს სააღსრულებო ფურცლის გაუქმება და მისი აღსრულების შეჩერება, საჩივრის ავტორის შეფასებით, სწორედ რომ ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ მოპასუხისათვის კიდევ უფრო მეტი ზიანის მიყენებას (ს.ფ. 81-86).

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 02 ივნისის განჩინებით, დაუსაბუთებლობის მოტივით არ დაკმაყოფილდა ე. მ.-ს საჩივარი ამავე სასამართლოს 2014 წლის 30 აპრილის განჩინებაზე და იგი საქმის მასალებთან ერთად გადმოეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე წარდგენილი განცხადების დასაბუთებისადმი არსებული მოთხოვნა იმგვარად არ უნდა იქნეს გაგებული, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მომთხოვნი პირი ვალდებულია უტყუარი მტკიცებულებების წარდგენით დაამტკიცოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა. სასამართლოს დასარწმუნებლად საკმარისია, ალბათობის მაღალი ხარისხით, იმ გარემოებების არსებობის ვარაუდზე მითითება, რომელსაც ემყარება მოსარჩელის მოთხოვნა.

განსახილველ შემთხვევასთან მიმართებით, სარჩელის საფუძვლიანობის შემოწმებისას სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მოსარჩელის მოთხოვნის ფარგლებში მიზანშეწონილი იყო სარჩელის უზრუნველყოფის ამ სახის გამოყენება – სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებული სააღსრულებო საქმის წარმოების შეჩერება. კერძოდ, მოსარჩელეები მიუთითებდნენ, რომ 2012 წლის 05 ივლისის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების შესრულება კრედიტორის წინაშე იკისრა თ. ჯ.-მ იმავე დღეს, 2012 წლის 05 ივლისის ვალის აღიარების ხელშეკრულების საფუძველზე. ნ. ს.-სა და ე. მ.-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა ორჯერ იქნა გაგრძელებული და სესხის დაბრუნების საბოლოო ვადად განისაზღვრა 2014 წლის 04 ივლისი. ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცელი გაიცა ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე, ვალდებულების შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე.



სასამართლომ „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-5 პუნქტზე დაყრდნობით განმარტა, რომ ვინაიდან სააღსრულებო ფურცლის გასაჩივრება არ აჩერებს აღსრულებას, სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება და როგორც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეაჩერა ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის მოქმედება, ვინაიდან ასეთი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემსახურებოდა გადაწყვეტილებას აღსრულებას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ე. მ.-ს საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 30 აპრილის განჩინების გაუქმების შესახებ დაუსაბუთებელი იყო და საქმის მასალებთან ერთად გადმოეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, წარმოდგენილი საჩივრის და მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ ე. მ.-ს საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს; ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 30 აპრილის განჩინება და ამ განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197.1 მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, ზემდგომ ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესით. ამავე კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის მიზანი არის სარჩელის (დავის) საგნის დაცვა და აღნიშნულით გადაწყვეტილების დაუბრკოლებლად აღსრულების უზრუნველყოფა. სარჩელის უზრუნველყოფა გულისხმობს იმგვარ ღონისძიებათა მიღებას, რაც სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გარანტირებულს გახდის სასარჩელო მოთხოვნათა რეალიზაციას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე მოთხოვნა



უნდა შეეხებოდეს თავად სარჩელის მოთხოვნას (დავის საგანს) და უნდა ემსახუროდეს მოსარჩელის დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების აღდგენას, შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების საკითხს სასამართლო წყვეტს სწორედ სასარჩელო მოთხოვნის ხასიათისა და შინაარსის გათვალისწინებით.

სამოქალაქო საქმეთა პალატა აღნიშნავს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა დამოკიდებულია სასარჩელო მოთხოვნის შინაარსზე, რამდენადაც სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით ხდება დავის საგნის დაცვის აუცილებლობის შეფასება. კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელების: ნ. ს.-ს და თ. ჯ.-ს სასარჩელო მოთხოვნა პირგასამტეხლოს სახით დაკისრებული თანხის გადახდისაგან გათავისუფლება და სააღსრულებო ფურცლის ამ ნაწილში გაუქმება. საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელე, მოპასუხის მიმართ არსებული ფულადი ვალდებულების არარსებობის დადგენას მოითხოვს მხოლოდ პირგასამტეხლოს ნაწილში და მიიჩნევს, რომ პირგასამტეხლოს სახით მისთვის გადაუხდელი თანხის 0,15 %-ის ოდენობით დაკისრება ყოველ გადაცილებულ დღეზე, 2013 წლის 06 აპრილიდან, უსაფუძვლოა;

ამრიგად, ნოტარიუსის მიერ 2014 წლის 04 აპრილს გაცემული NXXXXXXXXX სააღსრულებო ფურცლის მონაცემების მიხედვით, სააღსრულებო ფურცელში მოვალის მიერ შესასრულებელი ფულადი ვალდებულების ოდენობად მითითებულია 23 212.50 (ოცდასამი ათას ორას თორმეტი) აშშ დოლარი; სასარჩელო განცხადებიდან გამომდინარე, სადავო ხდება მოვალის მხრიდან კრედიტორის მიმართ ფულადი ვალდებულების არსებობა პირგასამტეხლოს სახით დაკისრებული თანხის – 8 212.50 აშშ დოლარის ნაწილში; ამდენად, 23 212.50 აშშ დოლარიდან მოსარჩელე ადასტურებს სესხის პირი თანხის - 15000 აშშ დოლარის ოდენობით ვალდებულების არსებობას და მიუთითებს, რომ ამ ნაწილში აღსრულება უნდა შეჩერდეს ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე 2014 წლის 04 ივლისამდე. იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემული განჩინების მიღების დროისათვის ეს ვადაც გასულია, ამასთან, მოცემულ შემთხვევაში, დავის საგნის მოცულობა განისაზღვრა 8 212.50 აშშ დოლარით, ამ პირობებში სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოსარჩელები გათავისუფლდებიან მოპასუხის მიმართ 8212.50 აშშ დოლარის გადახდისაგან.

ამგვარად, მოცემულ ეტაპზე იკვეთება, რომ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი თანხის – 15 000 აშშ დოლარის ნაწილში ფულადი ვალდებულების შესრულების თაობაზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის კანონიერება იმ საფუძველით, რომ მოვალის მიერ დასახელებული თანხა კრედიტორისათვის გადახდილია, ექვევემ არ დგება, ასევე დგინდება, რომ გასულია ის ვადა, სადამდეც (2014 წლის 04 ივლისი) მოსარჩელე მოითხოვდა ამ ნაწილში აღსრულების შეჩერებას, შესაბამისად, ამ ნაწილში (15 000 აშშ დოლარის) სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერების საფუძველი არ არსებობს; რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, საჭიროებს თუ არა დავის საგანი დაცვას, სამოქალაქო საქმეთა პალატა მიიჩნევს, რომ ვინაიდან, მოსარჩელე მხარე მოითხოვს სააღსრულებო ფურცლის გაუქმებას პირგასამტეხლოს სახით დაკისრებული თანხის ნაწილში და რამდენადაც ეს მოთხოვნა გულისხმობს მხოლოდ 8 212,5 აშშ დოლარის აღსრულების ნაწილში სააღსრულებო ფურცლის გაუქმებას, დგება, მხოლოდ ამ ნაწილში დავის საგნის დაცვის აუცილებლობა, ვინაიდან, სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერების გარეშე შეუძლებელი გახდება მოსარჩელის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება; ამდენად, გასაჩივრებული განჩინება ექვემდებარება ნაწილობრივ გაუქმებას, კერძოდ, კრედიტორის სასარგებლოდ მოვალისათვის ძირითადი თანხის – 15000 აშშ დოლარის ანაზღაურების ნაწილში სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერება ექვემდებარება გაუქმებას, ხოლო დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელი.



ამდენად, სამოქალაქო საქმეთა პალატა მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების და მითითებული მსჯელობის გათვალისწინებით, ასევე მხარეთა ინტერესების თანაბარზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, წარმოიშობა განხორციელებული უზრუნველყოფის ღონისძიების ნაწილობრივ გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს ზემდგომ სასამართლოს. ამავე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, განჩინება მიიღება საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, ხოლო მე-3 ნაწილის თანახმად, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე, 372-ე, 377-ე, 419-ე, 420-ე და 390-ე მუხლებით

და ა დ გ ი ნ ა:

1. ე. მ.-ს საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 30 აპრილის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც შეჩერდა ნოტარიუს ს. მ.-ს მიერ 2014 წლის 04 აპრილს გაცემული №XXXXXXXXXX სააღსრულებო ფურცლის მოქმედება კრედიტორის – ე. მ.-ს სასარგებლოდ, მოვალის – ნ. ს.-სათვის, სესხის ძირითადი თანხის 15 000 აშშ (თხუთმეტი ათასი) დოლარის დაკისრების ნაწილში;
3. კრედიტორის – ე. მ.-ს სასარგებლოდ, მოვალის – ნ. ს.-სათვის, 8 212,5 (რვაათას ორასთორმეტი და 50) აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე ნოტარიუს ს. მ.-ს მიერ 2014 წლის 04 აპრილს გაცემული №XXXXXXXXXX სააღსრულებო ფურცლის აღსრულების შეჩერების ნაწილში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 30 აპრილის განჩინება დარჩეს ძალაში;
4. განჩინება არ საჩივრდება.

თავმჯდომარე:

/ხათუნა არევამე/

მოსამართლეები:

/ნატალია ნაზლაიძე/

/ვანო წიკლაური/